საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/290

ქ. ბათუმი 09 **დეკემბერი, 2022 წ**

,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პან-ევროპის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 ნოემბრის №01-02/277 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის გიორგი თავამაიშვილის **2022 წლის 09 დეკემბრის** MES 4 22 0001580498 სამსახურებრივი ბარათის **საფუძველზე**

ვბრძანებ:

1. ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პან-ევროპის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 ნოემბრის №01-02/277 ბრძანების პირველი პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პან-ევროპის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე სამართლის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

ა) საბუთების ატვირთვა ელექტრონულ ბმულზე: **http://registration.bsu.ge** და სტუდენტურ პორტალზე **2022 წლის 30 ნოემბრიდან – 6 დეკემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე** (რექტორის სახელზე წარმოდგენილ განცხადებაში უნდა მიუთითოს ელ. ფოსტა და ტელეფონი) სტუდენტებისთვის, რომლებმაც უნდა გაიარონ ტესტირება უცხო ენაში (ინგლისური), სავალდებულოა განცხადებაში აღნიშნულის შესახებ მითითება);

ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2022 წლის 7 დეკემბერი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);

გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) - **2022 წლის 8 დეკემბერი** (ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

დ) იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც 2022 წლის წინა კონკურსებში წარმატებით გაიარეს ტესტირება უცხო ენაში, წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი საბუთები და გაიარეს გასაუბრება, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით წარმოადგინონ განცხადება და ახალი სასწავლო ხელშეკრულება რექტორის სახელზე, ხოლო სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს მხოლოდ ტესტირება და არ მიუღიათ მონაწილეობა კონკურსში, პორტალის საშუალებით წარმოადგინონ განცხადება რექტორის სახელზე და ყველა საჭირო დოკუმენტი - **2022 წლის 09 დეკემბერს 16:00 საათამდე;**

ე) გასაუბრება კომისიასთან - **2022 წლის 9 დეკემბერი** 17:00 საათი;

ვ) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - **2022 წლის 9 დეკემბერი, 19:00 საათი.**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**